

კორპორაციული მმართველობის პრობლემები და გამოწვევები საქართველოში



2016

**კორპორაციული მმართველობის
პრობლემები და გამოწვევები
საქართველოში**

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორი: ეკა გეგეშიძე, გიორგი ჭილაძე

სარჩევი

შესავალი	3
პრობლემის აღწერა	5
პრობლემის გადაჭრის გზები.....	10
მოსალოდნელი შედეგი	11

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკა მყარ, მდგრად და განვითარებულ კორპორაციულ მმართველობაზე დგას, ვინაიდან ისინი უზრუნველყოფენ ქვეყანაში დასაქმების 70%-იან მაჩვენებელს. საქართველოში კი აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალია - დასაქმებულთა საერთო რიცხვში მათი ძირითადი ნაწილის 60% თვითდასაქმებულ პირებზე მოდის, ხოლო დაქირავებით დასაქმებულ პირთა რიცხვი (რომელიც მოცავს საჯარო სექტორში დასაქმებულებსაც) 33%-ს შეადგენს.

აღნიშნული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ კორპორაციული სახის ბიზნესის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანი ფაქტორები უშლის ხელს. ბოლო წლებში მსოფლიოში გაიზარდა ისეთ პროექტთა რიცხვი, რომლებიც ითვალისწინებს ბიზნესის განვითარებით სიღარიბესთან ბრძოლას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. თუმცა, საქართველოში მიმდინარე პროექტები ძირითადად უფლებების დაცვაზე, აგრეთვე მცირე სოციალური საწარმოების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული.

საქართველოში ზემოაღნიშნული პრობლემის არსი თვით სოციალურ კაპიტალში უნდა ვეძებოთ, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემაში აღზრდილ თაობებს ბიზნესის წამოწყების და მართვის უნარები ნაკლებად აქვთ, ასევე, დაბალია მათში ინოვაციური მიდგომების, სამუშაოსთვის მზაობის და წიგნიერების დონე. ამას ემატება მუდმივად ცვალებადი და ტურბულენტური ბიზნეს გარემო და პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც 1990 წლიდან დღემდე სხვადასხვა მიმართულებით იცვლება და არ აძლევს ბიზნესს მდგრადი განვითარების შესაძლებლობას.

საქართველოში არის კორპორაციული მმართველობის კულტურის დეფიციტი. აღნიშნული, ფაქტობრივად, აფერხებს ახალი ბიზნესების შექმნის პროცესს, სტრატეგიულ ბიზნეს ხედვას და საფონდო ბირჟების ფუნქციონირებას, რაც შემდგომ აისახება დაკარგულ სამუშაო ადგილებში, ეკონომიკური განვითარების შეფერხებაში, არაგენერირებულ შემოსავლებში და ა.შ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში არ არსებობს მმართველობითი აღრიცხვის კულტურა. დაბეგვრის კუთხით სახელმწიფო არაერთგვაროვნად უდგება წარმოების და აგრარულ, ინდუსტრიულ ორგანიზაციებს.

ნაცვლად იმისა, რომ მოახდინოს მრეწველობის დარგების მიხედვით დანაკარგის ნორმების დადგენა და სტანდარტიზაცია, ამის საპირისპიროდ იგი სხვადასხვა ბიზნესებისთვის ინდივიდუალურ კომისებს ქმნის, რაც უფრო ართულებს ერთი მხრივ საგადასახდო ადმინისტრირების პროცესს და მეორე მხრივ, მუდმივი წნეხის ქვეშ ამყოფებს საწარმოო ბიზნეს ორგანიზაციებს. ბიზნეს ორგანიზაციები მუდმივად იმყოფებიან გაურკვეველობის პირობებში, რადგან არ შეუძლიათ საგადასახდო ტვირთის ოდენობის პროგნოზირება.

2016 წლის ივნისში ძალაში შევიდა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომლის რიგი მუხლები ეტაპობრივად ამოქმედდება 2018 წლის 1-

ელი იანვრიდან 2019 წლის 1-ელ იანვრამდე. თუმცა, ბიზნესის მფლობელები ერთობ სკეპტიკურად უყურებენ ახალ კანონს. მათი აზრით, შესაბამისი საკითხების რეგლამენტირებით მათ გაეზრდება ხარჯები, და შესაბამისად, იგი ვერ იქნება დადებითი გავლენის მომტანი.

აღნიშნული საკითხები თავისთავად საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას, რათა გამოიკვეთოს პოლიტიკის ფორმირების ვექტორები და მოხდეს კორპორაციული მმართველობის წახალისება, ბაზარზე ორიენტირებული მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბება.

- **პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი**

შესწავლილი და გაანალიზებული იქნას საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების პრობლემები, კორპორაციული კულტურის დამკვიდრების და განვითარების პერსპექტივები.

- **ამოცანები**

შესწავლილი იქნას საქართველოში არსებული პოლიტიკა ბიზნეს გარემოსთან მიმართებაში, ისტორიულ ჭრილში საგადასახო პოლიტიკა მათი განვითარების პერსპექტივით;

ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპზე გაანალიზდეს ბიზნესის წინაშე მდგარი გამოწვევები და პრობლემები;

არსებული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად შემუშავებული იქნას ეფექტიანი, ეფექტური, ეკონომიკური ინსტრუმენტები.

- **პოლიტიკის დოკუმენტის მიზანი**

შესწავლილი და გაანალიზებული იყოს საქართველოში ბიზნეს სექტორის განვითარების პრობლემები, კორპორაციული კულტურის დამკვიდრების და განვითარების პერსპექტივები.

- **ამოცანები**

შესწავლილი იყოს საქართველოში არსებული პოლიტიკა ბიზნეს გარემოსთან მიმართებაში, ისტორიულ ჭრილში საგადასახადო პოლიტიკა მათი განვითარების პერსპექტივით;

ქვეყნის განვითარების მიმდინარე ეტაპზე გაანალიზდეს ბიზნესის წინაშე მდგარი გამოწვევები და პრობლემები;

არსებული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად შემუშავდეს ეფექტიანი, ეფექტური, ეკონომიკური ინსტრუმენტები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება ორივე, საველე და კაბინეტურ მიდგომას.

ქრონოლოგიურად შესწავლილი, დიაგნოზირებული და გაანალიზებულია საკანონმდებლო, პოლიტიკური და საბაზრო კონიუნქტურული პროცესები.

შეფასდა ბიზნესის და მოქალაქეების მხრიდან საფინანსო ინსტიტუტებისადმი უნდობლობის მიზეზები.

გამოკვლეულია ბიზნესის წინაშე არსებული ის პრობლემები, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე უშუალოდ უშლის ხელს კორპორაციული მმართველობისა და მსხვილი ბიზნეს ორგანიზაციების ფორმირება-განვითარებას.

სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით მოხდა ექსპერტებისა და ბიზნესის მფლობელთა გამოკითხვა, შედარდა და გაანალიზდა სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია, შემუშავდა რეკომენდაციები.

პრობლემის დასმა

ყოფილ საბჭოთა საქართველოში პირს, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ბიზნესი, "საქმოსანს" უწოდებდნენ, ხოლო ვინც მისდევდა კომერციულ საქმიანობას - „ქორვაჭრად“ მოიხსენიებდნენ. ზემოხსენებულ პირთა ორივე კატეგორია საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო, ხოლო მათ მიერ განხორციელებული ქმედებები ისჯებოდა მოქმედი კანონმდებლობით.

ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის პოპულარიზაცია პირველად 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო. უკვე 25 წელზე მეტია, რაც საქართველოში წახალისებულია ბიზნეს ატქივობები, თუმცა, ნაკლებად შეინიშნება კორპორაციული კულტურის კლასიკური ელემენტები, როდესაც ერთმანეთისგან გამიჯნულია ბიზნესის ფლობისა და მართვის კორპორაციული პორცესები.

ბიზნეს პროცესების განვითარებაზე ბევრმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ასპექტმა იქონია გავლენა. მათი თანმიმდევრული განხილვა თვალნათლივ დაგვანახებს საქართველოში ბიზნესის წინაშე მდგარ პრობლემებს:

1) ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმები ბიზნეს პროცესების ჩამოყალიბებაზე 1990 წლების დასაწყისში მოხდა, როდესაც საქართველოს მოსახლეობა ფულადი დანაზოგების გარეშე დარჩა. ანაბრების გაორმაგების პირობით მოსახლეობამ თითქმის სრულად შეიტანა მათ მიერ წლების განმავლობაში ნაგროვები თანხები მაშინდელ სახელმწიფო ბანკებში.

1996-1997 წლებში მოხდა შიდა ვალის აღიარება, თუმცა მის დასაბრუნებლად დღემდე არ არის გამოხატული პოლიტიკური ნება (აღნიშნულმა საფინანსო ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის ნდობა შეამცირა და საქართველოს მოსახლეობას რეალურად მოუსპო დანაზოგებისადმი მიდრეკილების სურვილი).

ამ ფაქტის ყველაზე სავალალო შედეგი კი არის ის, რომ რეალურად მოსახლეობა დარჩა საკუთარი ფინანსური რესურსების გარეშე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნდა გამხდარიყო ინვესტიციების წყარო.

ასე მაგალითად, თუნდაც 2000 წლისთვის რომ დაებრუნებინათ მოსახლეობისთვის აღნიშნული თანხები, იგი დღემდე სახელმწიფოს ეკონომიკაში მინიმუმ 350 მილიარდი ლარის საინვესტიციო აქტივს შექმნიდა, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევდა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ყოველწლიურ ზრდას მინიმუმ მილიარდით ლარით.

2) 1991-1993 წლებში სამოქალაქო ომის დროს ქვეყნის არაოკუპირებულ ტერიტორიებზე დაზარებულ პირთა ქონებრივი ანაზღაურების საკითხი. ამ პერიოდში თბილისსა და სამეგრელოში ბევრ მოქალაქეს დაუზიანდა საცხოვრებელი ან საწარმოო ფართი, რომელზეც პასუხისმგებლობა მთავრობას არ აუღია და აღნიშნულ პირებზე არ მომხდარა კომპენსაციების გაცემა, რაც ამცირებს სახელმწიფოში დაცულობისა და მდგრადობის აღქმას.

3) არამდგრადი პოლიტიკური გარემო და მსხვილი ბიზნესის პოლიტიკური წნეხის ქვეშ ყოფნა, მუდმივად ცვალებადი საგადასახადო გარემო და არასამართლიანი ადმინისტრირების წესები. რეალურად ბიზნესის ფორმირების სამართლებრივ რეგლამენტაციას 1994 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი [„მეწარმეთა შესახებ“](#).

1997 წელს მიღებული „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მიხედვით შემოღებულია 20 სხვადასხვა გადასახადი, მათ შორის 14 სახელმწიფო და 6 ადგილობრივი გადასახადი. მათი საერთო საგადასახადო ტვირთი 80%-ს აღწევდა. აღნიშნულმა სრულად დაანგრია ბიზნესის ლეგალურ ჩარჩოებში მოხვედრის და გადარჩენის შესაძლებლობა, ხელი შეუწყო ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას და გაამეფა კორუფცია.

კორპორაციული მმართველობის ჩამოყალიბებამ შორეულ მომავალში გადაინაცვლა, ვინაიდან აღნიშნული ფენომენის განვითარებას სჭირდება თავისუფალი, სამართლიანი და საბაზრო წესებზე დაფუძნებული აღრიცხვის და ანგარიშგების სისტემა.

4) 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რომელიც ბიზნეს გარემოზე აისახა ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით. ის ძალაში შევიდა 2005 წლის პირველ იანვარს.

კოდექსი მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა პატიოსანი გადამხდელის ბიზნეს მდგომარეობას. თუმცა, ერთი მხრივ იყვნენ გადასახადების არგადახდას შეჩვეული ბიზნესმენები და, მეორე მხრივ, საჭირო იყო კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების პოლიტიკის ბეწვის ხიდზე გავლა, რათა სახელმწიფოს არ მოესპო ბიზნეს ინიციატივები, შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი წესრიგი და შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებელი, უზრუნველყო ბიუჯეტის შესრულება, სწრაფი და ეფექტიანი რეფორმებით და ინექციებით მიეღწია მდგრადი განვითარებისთვის.

საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ განხორციელდა შემოსავლების სამსახურის რეფორმა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ბიზნესის ლეგალურ ჩარჩოებში მოსაქცევად და თავად სტრუქტურაში კორუფციის აღმოსაფხვრელად. იმის მიუხედავად, რომ ბევრი შეცდომა იყო დაშვებული, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მიღწეული იყო ეფექტიანი და ეფექტური შედეგები.

ბიზნესს რეალური რეპრესიების პერიოდი დაუდგა 2006-2007 წლებში, როცა დაიწყო მათი „სრულიად ლეგალურ“ ჩარჩოებში მოქცევის პირველი ეტაპი. ამასთან ერთად, პარალელურ რეჟიმში პერმანენტულად იცვლებოდა საგადასახადო კოდექსის ესა თუ ის მუხლი, რაც შეუძლებელს ხდიდა გრძელვადიანი დაგეგმვის განხორციელებას.

5) 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მთავრობამ ბიზნესში აკუმულირებული შემოსავლები „სახიფათოდ“ ჩათვალა და არ დააყოვნა უკანონო კანონქვემდებარე აქტების გამოცემა, შემოიღო ბიზნესის შემოწმების რეპრესიული მეთოდები. აღნიშნულმა ქმედებამ ფაქტობრივად არაეფექტური გახადა ბიზნეს საქმიანობა, რამაც 2010-2011 წლებში სრულად დაანგრია ბაზრები და მოკლა მცირე ბიზნესი.

6) 2005 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა ბიზნეს არბიტრაჟის შემოღებას, თუმცა, ეს მუხლი ამოიღეს კოდექსიდან. ამის სანაცვლოდ 2011 წელს, როდესაც მთელი ქვეყანა ალაპარაკდა არასამართლიან ბიზნეს გარემოზე, მოხდა „საგადასახადო ომბუდსმენის“ ინსტიტუტის შემოღება (2015 წელს იგი შეიცვალა ტერმინით „ბიზნეს ომბუდსმენი“).

საკითხავია, უნდა იყოს თუ არა ბიზნეს ან საგადასახადო ომბუდსმენი, როცა ქვეყანაში არსებობს ეფექტურად ფუნქციონირებადი ომბუდსმენის ინსტიტუტი და ხომ არ აჯობებდა, რომ განხორციელებულიყო ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის ტრანსფორმაცია არბიტრაჟში.

როგორც კვლევები გვიჩვენებს, ასეთ ინიციატივას ერთხმად მიესალმება ბიზნესმენთა უმეტესობა. მათ ასევე მოსწონთ იდეა, რომ ცალკე შეიქმნას არბიტრაჟი და ამის პარალელურად დარჩეს ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტიც. ამასთან, შევნიშნავთ, რომ

არბიტრაჟი ბევრ ქვეყანაში მოწყობილია სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ რამდენიმე ინსტიტუციის შენახვაზე ხარჯის გაწევა არაეფექტიანი იქნება.

7) ბიზნესის წამომადგენლები ეჭვის თვალით უყურებენ დაბეგვრის არსებულ სისტემას. ერთი მხრივ საგადასახადო კოდექსი იძლევა კონკრეტულ მითითებას, რომ აღრიცხვაში გამოყენებული უნდა იყოს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. თუმცა, იმ საკითხებში, რომელსაც არ განსაზღვრავს საგადასახადო კოდექსი, საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში ის ბიზნესის საზიანოდ იღებს გადაწყვეტილებებს.

ნაცვლად იმისა, რომ იხელმძღვანელოს პრინციპით „რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია“, იგი იყენებს პრინციპს „რაც ნებადართული არ არის, აკრძალულია“. მაგალითად, 2012 წლამდე მარაგების აღრიცხვის წარმოებისთვის გამოყენებული იყო მისი თვითღირებულების შეფასება მხოლოდ პირვანდელი ღირებულებით. რეალურად ბიზნესი თუ მარაგს გაყიდდა თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, დაბეგვრის მიზნებისთვის უნდა გამოყენებინა მხოლოდ პირვანდელი ღირებულება. ასევე, თუ მარაგი ერთხელ გაიყიდებოდა მაღალ ფასად, მთლიანი გაყიდული მარაგების გაყიდვა გადაფასდებოდა მაღალ ფასზე დაბეგვრის მიზნებიდან გამომდინარე.

მსგავსი მიდგომები ანგრევს საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებს. მაგალითად, მესხიერების ბარათის, რომელიც შექმნილია 3 წლის წინ, საბაზრო ღირებულება არის ბევრად ნაკლები, ვიდრე მისი პირვანდელი ღირებულება, ხოლო ბიზნესმა, რომელმაც ეს მარაგი ვერ გაყიდა სამი წლის განმავლობაში, პირველადი ზარალი განიცადა იმით, რომ მარაგის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ ბიზნესი გაყიდდა ამ მარაგს, იგი დაიბეგრებოდა იმ ფასის მიხედვით, რა ფასადაც გაყიდა 3 წლის წინ, რაც თავისთავად იწვევს დამატებით საგადასახადო ვალდებულებებს.

2008-2012 წლებში აღნიშნული მიდგომის საფუძველზე დაჯარიმდა ათასობით ბიზნეს ორგანიზაცია. ამავე წლებში ასევე იგნორირებული იყო მარაგების პერიოდული აღრიცხვის სისტემა ან/და საშუალო შეწონილი ღირებულებით აღრიცხვის სისტემა, შემოწმების მიზნებისთვის გამოყენებული იყო მხოლოდ ინდივიდუალური აღრიცხვის მეთოდი.

აღნიშნული სისტემის დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭიროა ძვირადღირებული ინფორმაციული სისტემის უზრუნველყოფა და მაღალკვალიფიციური კადრები, რაც საგრძნობლად აძვირებს ბიზნესის ოპერაციულ ხარჯებს და მნიშვნელოვანი ზეწოლაა მცირე და საშუალო ბიზნესზე. სწორედ მსგავსმა ე.წ. „ნოვაციებმა“ საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებად მრავალ საწარმოს შეუქმნა არსებითი პრობლემა, ბევრი ბიზნესი კი ჩანასახშივე მოკლა, მნიშვნელოვნად შეასუსტა არსებული ბიზნესების მდგომარეობა.

8) ბიზნესმენები საუბრობენ ხელოვნურად შექმნილ მრავალ საფრთხესა და მათთან დაკავშირებულ ყოველდღიურ ყოფით პრობლემებზე, რაც იწვევს იმას, რომ ისინი ნაკლებად არიან ორიენტირებულნი ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე.

ქართულ საზოგადოებაში, ასევე, არის შიში ბიზნესის ფლობასთან დაკავშირებით, რადგან ბევრი ბიზნესმენი, ზემოთაღნიშნული არასწორი პოლიტიკის გამო, დაჯარიმდა საკმაოდ სოლიდური თანხებით, შემდგომში ზოგიერთ მათგანზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ბიზნესის მფლობელებსა და დირექტორებს აღკვეთის ზომად პატიმრობა შეეფარდათ. ამასთანავე, საგადასახადო შემოწმების პერიოდში, ადგილი ჰქონდა ბიზნეს საქმიანობის დროებით შეჩერებას, რომელიც ხშირად თვეები გრძელდებოდა და ბიზნესს ამ პერიოდში უწევდა ადმინისტრაციული ხარჯების (იჯარა, ხელფასები, კრედიტის პროცენტი და ა.შ.) გადახდა, რამაც საქართველოში შეარყია ბიზნესის განვითარება.

9) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ბიზნესის შემოწმებისა და საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრისას ხშირად ეყრდნობა საბჭოთა წყობისთვის დამახასიათებელი „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური“ სისტემის მიდგომებს და იგნორირებას უკეთებს თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებს, რომელსაც საფუძვლად უნდა ჰქონდეს დემოკრატიული და საბაზრო ღირებულებები. ანუ ბიზნესის კეთების საბაზრო საფუძვლები გამჭოლად უნდა გასდევდეს ყველა კანონსა და ნორმატიულ აქტს.

დღეს ბიზნესმენები საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში არ არის ბიზნესის კეთების, დაბეგვრის და სამართლიანობის დადასტურების ერთიანი გამჭვირვალე მიდგომები. ნებისმიერ დროს შესაძლებელია მოხდეს კანონმდებლობის იმგვარი ცვლილება, რომ შეუძლებელი გახდეს ჩადებული ინვესტიციების უკუგება.

სწორედ ამის გამო ბიზნესმენები იძულებული ხდებიან, მიიღონ მაქსიმალურად მოზომილი გადაწყვეტილება.

10) ქართული ბიზნესისთვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს 2016 წელს მიღებული კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. ექსპერტებს მიჩნიათ, რომ ის წინგადადგმული ნაბიჯია კორპორაციული კულტურის განვითარებისთვის.

კანონმა თანმიმდევრულად განსაზღვრა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS), მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA), ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების (ISQC) და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ მიღებული და დამტკიცებული მიმოხილვისა და დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სხვა მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, რაც ადვოკატებსა და იურისტებს მისცემთ საშუალებას, დავების შემთხვევაში თამამად იხელმძღვანელონ აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებით. კანონის საფუძველზე მთავრობას აღებული

აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რომლის სწორად და ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია დადებითი გავლენა იქონიოს კორპორაციულ მმართველობაზე.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრის მიზნით საჭიროა განხორციელდეს შემდეგი აქტივობები:

- კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებით აუცილებელია, რომ ქვეყნის მოსახლეობაში ამაღლდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები;
 - ფინანსური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით უნდა შემუშავდეს ე.წ. „დაუბრუნებელი ანაბრების“ დაბრუნების პოლიტიკა. თავდაპირველად უნდა მოხდეს 1997 წელს აღიარებული ვალდებულების ინდექსაცია და შემდეგ კი დაბრუნების პოლიტიკის განსაზღვრა შესაბამისი ალტერნატივებით:
1. საგადასახადო ჩათვლის ვაუჩერი - ფასიანი ქაღალდი, რომელიც შესაძლებელია, რომ თავად მესაკუთრემ „ჩაითვალოს“, როგორც გადახდილი გადასახადი ან უბრალოდ იგი გაყიდოს მესამე პირზე / ბიზნესზე;
 - 2) აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის წესით გადაცემა და ამის პარალელურად შეღავათიანი პირობებით სესხის აღების უფლების მინიჭება. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვის მეორე ალტერნატივა უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან ერთი მხრივ მოახდენს პრივატიზების პროცედურების ადმინისტრირებაზე საჭირო თანხების ნაწილის დაზოგვას, არ გასცემს ნაღდ ფულს და ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას;
- გასული საუკუნის 90-იან წლებში სამოქალაქო ომის დროს არაოკუპირებულ ტერიტორიებზე ქონებრივად დაზარალებულ მოსახლეობას შეუფასოს მიყენებული ზარალი და გადაუხადოს მათ შესაბამისი კომპენსაცია;
 - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მდგრადი, სამართლიანი ბიზნეს გარემო და ამ მიზნით საჭიროა უმოკლეს ვადაში დაფუძნდეს საგადასახადო არბიტრაჟი;
 - საჭიროა განხორციელდეს იმ ბიზნესმენების/ბიზნესების რეაბილიტაცია ან მათზე საკომპენსაციო თანხების გაცემა, რომელებიც 2008-2012 წლებში დაზარალდნენ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების შედეგად;

- დროულად და თანმიმდევრულად განხორციელდეს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესი;
- სხვადასხვა ბიზნეს ინდუსტრიებისთვის საჭიროა შემუშავდეს დანაკარგების ოდენობის განსაზღვრის სტანდარტები.

მოსალოდნელი შედეგი

- გაიზრდება საფინანსო ინსტიტუტების მიმართ მოსახლეობის სანდოობის ხარისხი;
- მოსახლეობაში გაიზრდება დანაზოგების დაგროვების მოტივაცია და ხარისხი;
- მდგრადი ბიზნეს გარემო გამოიწვევს ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური სტიმულების შექმნას;
- გაიზრდება ბიზნეს ორგანიზაციათა რაოდენობა და მსხვილ საწარმოთა რიცხვი, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება გაზრდილ სამუშაო ადგილებსა და დასაქმების მაჩვენებელზე;
- ხელისუფლებას და ბიზნესს შორის ჩამოყალიბდება ურთიერთნდობისა და პატივისცემის გარემო, რაც გენერირდება ეკონომიკაში და ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას.